აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის მიერ 2018 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში

2018 წლის მანძილზე დეპარტამენტის პრიორიტეტულ მიმართულებებად რჩებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის კუთხით, კოლხური ბზის გადარჩენისა და აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამაში აქტიური ჩართულობა, დევნილთა დასაქმების ხელშემწყობი აქტივობების გატარება საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ი.გ.პ.-თა კონსულტირება, საჭიროებების შესაბამისად, ფერმერთათვის პრაქტიკული საქმიანობის გაადვილების მიზნით, სარეკომენდაციო ბუკლეტების გამოცემა, სამეცნიერო-ტექნიკური ინოვაციების შემუშავებაში აქტიური ჩართულობა, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.

დეპარტამენტის რისკის ანალიზისა და შეფასების სამსახურის სპეციალისტების მიერ, 2018 წლის მანძილზე, მიმდინარეობდა ოკუპირებული გალის რაიონის მოსახლეობის საკუთრებაში არსებული შინაური ცხოველების გეგმიური და არაგეგმიური პროფილაქტიკულ-სამკურნალო ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის 2018 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ სუბსიდირების პროგრამით გამოყოფილი 20 000 ლარის ფარგლებში ელექტრონული ტენდერის საშუალებით შეძენილ იქნა 26 სახეობის ვეტპრეპარატი და ინვენტარი. შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს ვეტსპეციალისტების მიერ ჩაუტარდათ პროფილაქტიკა ისეთ დაავადებებზე როგორიცაა ანტიჰელმინთოზი, ფასცილიოზი, დიქტიოკაულიოზი, ფისტომატოზი და სხვა. ამასთანავე, სამკურნალო ღონისძიებები ჩაუტარდათ მასტიტებზე, ენდომეტრიტებზე, კანის დაავადებებზე (ბორა, მკრეჭავი მუნი), განხორციელდა სხვა და სხვა ქირურგიული სამუშაოები. 2018 წლის პროგრამული დაფინანსების ფარგლებში შეძენილი მედიკამენტებით მომსახურეობა გაეწია 20.000 -ზე მეტ სულ მსხვილ რქოსან პირუტყვს, 10.000 ფრთამდე ფრინველს, 700 ოჯახამდე ფუტკარს და 300 სულამდე ღორს. ცოფის, ჯილეხის, თურქულისა და ნოდულარული დერმატიტის ვაქცინებით ვეტსპეციალისტების მიერ იმუნიზაცია ჩაუტარდა 20.000-მდე შინაურ ცხოველს. საანგარიშო წელს მთლიანობაში გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე საპროფილაქტიკო-სამკურნალო ვეტმომსახურება გაეწია 40.450 სულამდე შინაურ ცხოველს. ვეტსპეცილისტთა დროულად და ეფექტურად ჩატარებული სამუშაოების შედეგად გალის რაიონის ტერიტორიაზე საშიში ინფექციური დაავადებათა კერები დღევანდელი მდგომარეობით არ დაფიქსირებულა. აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამდ ითქვას, რომ რაიონი ისევ წარმოადგენს ერთ-ერთ უსაფრთხო და

კეთილსაიმედო ტერიტორიას ცხოველთა ინფექციური დაავადებათა გავრცელების მხრივ.

აგრეთვე, გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა აქტიური მოსამზადებელი საქმიანობა სასოფლო-სამურნეო კულტურების დაცვის მიმართულებით. მოსახლეობასთან შეხვედრისას დიდი ყურადღება ექცეოდა კომპლექსური აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობას. ძირითადად, ყურადღება გამახვილდა ფერმერთათვის განმარტებითი-პრაქტიკული რეკომენდაციების გაწევაზე, რაც გულისხმობს ძველი და ახალი მეთოდების სიმბიოზს, სწორ დაგეგმარებასა და მეცნიერულად დადგენილი პრაქტიკული აქტივობების ჩატარებას.

სწორედ აღნიშნულ საკითხებს მიეძღვნა 2018 წლის 21 მარტს ქ. ზუგდიდში ჩატარებული *სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია,* რომელშიც მონაწილლეობა მიიღეს აფხაზეთის ა/რ მთავრობის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს, ქ. ზუგდიდის საკრებულოს ხელმძღვანელებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლება, მეცნიერებმა, აფხაზეთიდან დევნილმა ფერმერებმა და გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა. კონფერეციის ძირითადი დანიშნულება იყო კომპლექსურ ღონისძიებათა შორის მავნებელთან ბრძოლის არსებული მეთოდების ეფექტურად გამოყენების აუცილებელი პრაქტიკული, სარეკომენდაციო წინადადებების შემუშავება და მოსახლეობისათვის მიწოდება, რაც შესრულებულ იქნა.

ბოლო წლებში, როგორც დასავლეთ საქართველოს სუბ-ტროპიკულ რეგიონებში და ასევე, გალის რაიონის სოფლებში, ფართოდაა გავრცელებული თხილისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების ისეთი დაავადებები, როგორიცაა <u>თხილის ნაცარი, ფომოფსისი, ნაცრისფერი სიდამპლე, ჭრაქი, ნაყოფის სიდამპლე, ფოთლის ლაქიანობა.</u>

ადგილზე ჩვენი სპეციალისტების მიერ სისტემატურად მიმდინარეობს ფიტოსანიტარული მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი. შემუშავდა ის ღონისძიებები, რომელთა გატარება შეამცირებს მავნებლის პოპულაციას და ნაკლებ ზიანს მიაყენებს სოფლის მეურნეობას. რაც შეეხება აზიური ფაროსანას არეალის გავრცელებასა და მათი რიცხოვნობის დადგენას, ხორციელდება ფერომონებისა და წებოვანი ფირფიტების განლაგება მრავალწლიან კულტურებზე, ძირითადად თხილის ნარგავებზე. ფერომონებზე და ფირფიტებზე ფაროსანას დაგროვებაზე ხორციელდება სათანადო მონიტორინგი, დგინდება გავრცელების/პოპულაციის დინამიკა. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 იანვრის #224 განკარგულებით დამტკიცებული „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის გამოყოფილი 4.320 ლიტრი პრეპარატი შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით და გაერო-ს პროგრამა „დიალოგის“ მხარდაჭერით იქნა გადატანილი აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც დე-ფაქტო ადმინისტრაციის მიერ დასაწყობდა გულრიფშის რაიონის სოფ. აგუძერაში, 12.960

ლიტრი - გალის რაიონის სოფ. მზიურში, ხოლო 2.720 ლიტრი - დასაწყობდა ქ. ზუგდიდში (დეპარტამენტის მიერ დაქირავებულ საწყობში). საანგარიშო წელს მთლიანობაში ოკუპირებულ გალის რაიონში ერთჯერადად შეიწამლა მრავალწლიანი თხილის ფართობები 7.050 ჰექტრამდე, რაზედაც გახარჯული იქნა 4.190 ლიტრი პრეპარატი.

ამასთანავე, 2018 წლის სექტემბრის თვეში, ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ დამატებით გადმოგვცა 10 ათასი ლიტრი პრეპარატი „ინსეკარი 100 ეკ“. ამ რაოდენობიდან გალის რაიონის მოსახლეობას სოფლების მიხედვით დაურიგდა 2076 ლ. ქიმ.პრეპარატი შენობა-ნაგებობების დასამუშავებლად. ასევე, გადაეცათ სპეციალური აღჭურვილობა (კომბინიზონი, ხელთათმანი, რესპირატორი, სათვალე).

გასულ წელს, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოიშვა ახალი გამოწვევა ინვაიდერ წითელი ცხვირგრძელა/red palm weevil სახით. ჩვენი სპეციალისტების მიერ შემუშავდა და აფხაზურ მხარეს გადაეცა ვრცელი ინფორმაცია პალმის მავნებლის-წითელი ცხვირგრძელას წარმოშობის, განვითარების, გავრცელების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე გაგრძელდება მუშაობა, გათვალისწინებულია რისკის ანალიზისა და შეფასების სამსახურის მცენარეთა დაცვის განყოფილების 2019 წლის სამუშაო გეგმაში. ამ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისი ანალიტიკური მასალა გადაეცა აფხაზეთის ა/რ მთავრობას მისი ჟენევის მოლაპარაკებებზე გაჟღერების მიზნით.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის აგრარულ პროექტებში და პროგრამებში ჩართულობის განყოფილების მიერ შესწავლილ იქნა დევნილ პირთა საკუთრებაში და მათზე სარგებლობის უფლებით არსებული მიწის ფართობები. გალის რაიონის სოფლების მიხედვით (იქ მცხოვრები მოსახლეობის გამოკითხვიდან მიღებული მასალების გამოყენებით) ჩამოყალიბებულია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებათა ნუსხა, აგრარული კუთხით, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება, როგორც შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების/პროექტების დაგეგმვის, ასევე დონორ-ორგანიზაციებთან კომუნიკაციის პროცესში.

ოკუპირებულ გალისა და ოჩამჩირის რაიონებში 2019 წელს მცენარეთა დაცვისა და სხვა შესაძლო აგრო-პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო დარგში არსებული მდგომარეობის შესწავლა და არსებული სტატისტიკური ან სხვა სახის მონაცემთა შეფასება-გაანალიზება.

დეპარტამენტის სპეციალისტები აგრძელებენ წინა წლებში დაწყებულ სხვადასხვა პროექტებისა და დეპარტამენტის მიერ ინიცირებულ ბიზნეს-აქტივობების სისტემატურ მონიტორინგს. 2018 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეში განხორციელდა USAID/ZRDA-სთან თანამშრომლობით სამეგრელოს ზემო-სვანეთის რეგიონში შექმნილი მცირე და საშუალო სათათბურე მეურნეობების მდგომარეობის შესწავლა/მონიტორინგი. ამჟამად აღნიშნულ სათბურებში (14 ბენეფიციარი ოჯახი) დათესილია მწვანილი, სალათის ფურცლები, კიტრი და პომიდორი.

ფერმერთა თხოვნის საფუძველზე, დეპარტამენტი, პერიოდულად, უზრუნველყოფდა სარეკომენდაციო/საინფორმაციო მასალების გამოქვეყნებას. ერთ-ერთი ასეთი ბროშურა - ,,ჰერბიციდების გამოყენების როლი მეფუტკრეობაში“ შემუშავდა საანგარიშო პერიოდში. ამასთან, აღნიშნულ დარგში, სხვადასხვა რეგიონში, ადგილებზე გაეწიათ დაინტერესებულ პირებს კონსულტაციები მეფუტკრეობის სხვადასხვა საკითხებზე.

დევნილთა შორის მოთხოვნადია პროექტებისა და ბიზნეს-გეგმების სწორად შედგენისა და ფონდებთან კომუნიკაციის საკითხები. ამ მხრივ, დეპარტამენტში მიმდინარე წელს, კვალიფიციური დახმარება გაეწია 12 დევნილს და მოხერხდა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებში მათი პროექტების შეტანა. გრძელდება ჟურნალ ,,აგრარულ საქართველოში“ დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ მომზადებული სხვასახვა მიმართულების სტატიების გამოქვეყნება. სულ გამოქვეყნდა 7 ნაშრომი.

დეპარტამენტმა დაიწყო მუშაობა, რომ შეიქმნას საინფორმაციო გზამკვლევი ,,საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები“ - სადაც განთავსდება ის ორგანიზაციები (არამარტო საქართველოში აკრედიტირებული), რომლებიც აფინანსებენ სასოფლო-სამეურნეო დარგის საქმიანობით დაინტერესებულ პოოტენციურ ბენეფიციარებს. ცნობარი გამოცემის შემდეგ, 2019 წელს, დარიგდება დევნილთა კომპაქტურად ჩანსახლების ადგილებში.

წარმატებით აგრძელებს თავის საქმიანობას დეპარტამენტის ინიციატივით და მხარდაჭერით ჩამოყალიბებული აფხაზეთიდან დევნილ-მეფუტკრეთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „კოდორი-2015“. ჩამოვთვლით მხოლოდ გამოფენების ნუსხას, რომელშიც ჩვენმა მეფუტკრეებმა წარმატებით წარადგინეს თავიანთი პროდუქცია:

- თბილისი, „მხოლოდ ქართული“ („ქარვასლა“),
- თბილისი, „მეფუტკრის დღე“, ორგანიზატორი - საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (სასტუმრო „ფაბრიკა“/ 20.05.2018);
- თბილისი, „თბილისობა - 2018“, ორგანიზატორი -თბილისის მერია (რიყე/6-7.10.2018);
- მცხეთა (15.10.2018) „მცხეთობა-სვეტიცხოვლობა“, ორგანიზატორები-მცხეთის მერია, საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს კოოპერატივების სააგენტო;
- ზუგდიდი, „ფერმერთა დღე“, ორგანიზატორი - საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (დადიანების სასახლე/15-18.11.2018)
- თბილისი, საერთაშორისო ბიზნეს-ფორუმი, ორგანიზატორი-აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა (სასტუმრო „ბილტმორი“)

დეპარტამეტის სპეციალისტები მეცნიერთა ჯგუფთან ერთად აქტიურად ეწევიან სამეცნიერო საქმიანობას სასოფლო-სამეურნეო მავნებლებთან ბრძოლის ალტერნატიული მეთოდებისა და ტექნოლოგიის შესამუშავებლად. ერთ-ერთი ასეთი

მეთოდია *წყლის ელექტრო-ქიმიური აქტივაცია,* რომლის ბაზაზეც შეიქმნა ზოგიერთი ახალი ალტერნატიული ტექნოლოგია სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგის მიმართულებით. მიმდინარეობს კიდევ 2 ტექნოლოგიის შემუშავება, თუმცა სათანადო ტექნიკური ბაზის არარსებობის გამო გარკვეულ სიძნელეებს აქვს ადგილი, გრძელდება მოლაპარაკებები დონორებთან .

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა მიერ წარმოებულმა *ანოდურად გააქტიურებულმა ხსნარმა* სახელწოდებით ,,რეთაგი" გაიარა ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა და პრეპარატის დოსიეს ექსპერტიზის შედეგად ნ. მახვილაძის სახელობის ,, შრომის, მედიცინისა და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის" დასკვნით რეგულაცია (EC) N1272/2008 (GHS/CLP). პრეპარატი ,,რეთაგი" მწვავე ტოქსიკურობის მიხედვით მიეკუთვნება საშიშროების მეხუთე კატეგორიას, ფაქტიურად, აბსოლუტურად უვნებელს. შესაბამისად, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ჯგუფის მიერ პირველი განაცხადი შეტანილ იქნა „რეთაგის" სადეზინფექციო საშუალებად დარეგისტრირებისათვის. ცენტრმა სადეზინფექციო საშუალებისათვის გასცა სარეგისტრაციო მოწმობა N237 09.08.2018 წ. და საშუალება ,,რეთაგი" ოფიციალურად შეტანილია საქართველოში გამოყენებული მსოფლიო სადეზინფექციო საშუალებათა ნუსხაში N 112.

<u>სსიპ ,,გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტო"</u> ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა ქ. თბილისის მერიის მიერ 2014 წელს სარგებლობაში გადმოცემულ 7 ჰა. მიწის ფართზე (გლდანის ყოფ. ნაგავსაყრელი) გამწვანება-გატყევების აქტივობების თვალსაზრისით, თუმცა, 2016-2017 წ.წ. 3 ჰა-ზე დარგული ნერგებიდან გაიხარა, სამწუხაროდ, მხოლოდ „თეთრი აკაციის" ნერგებმა, რომლის მიზეზიც, ქართველიდა უცხოელი სპეციალისტების აზრით, არის ნაგავსაყრელზე გამონაბოლქვი გაზების მიერ ნიადაგისა და ჰაერის დაბინძურება. სპეციალისტების აზრით, ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს ე.წ. „სარკოფაგი", ანუ მყარი საფარი ქვიშა-ღორღისგან, რაც საჭიროებს სათანადო ლანდშაფტური პროექტის შექმნას. დღეისათვის აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებულია და გადაცემულია შესათანხმებლად ქ. თბილისის მერიაში.

სააგენტო აგრეთვე აგრძელებს *ინფრასტრუქტულ პროექტს კრწანისის რიონში* (ქ. თბილისის მერიის მიერ სარგებლობის უფლებით გადაცემულ 15.000 კვ.მ ტერიტორიის ფართობზე). ტერიტორიაზე განხორციელდა ძალზედ შრომატევადი მიწის სამუშაოები (შემოტანილი იყო 600 $მ^3$ მიწა), 2018 წლის თებერვალ-მარტის თვეში განხორციელდა 500 კვ.მ ტერიტორიის მოწყობა, ხოლო ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხიდან ჩამოტანილ იქნა კოლხური ბზის ნერგები. სრულყოფილი საბაზისო სანერგე მეურნეობის შექმნის მიზნით მიმდინარეობს მსუბუქი კონსტრუქციის შენობის მშენებლობა-მოწყობა, რაც საშუალებას მოგვცემს აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩატარდეს შესაბამისი საგანმანათლებლო ღონისძიებები აფხაზეთის ა/რ განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით. აღნიშნული სამუშაოების დამთავრების შემდეგ (არბორი, ხის კოტეჯი, სათავსო და საპირფარეშო/ამ მიმართულებით განხორციელდა 24 260 ლარის სამუშაოები; ამჟამად მიმდინარეობს დასრულებითი სამუშაოები წყალ-

კანალიზაციისა და ელ.გაყვანილობის კუთხით) სანერგის პარალელურად მოეწყობა მცირე მასშტაბის თემატური პარკი, სადაც აფხაზეთიდან დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდები შეძლებენ არამარტო დაისვენონ, არამედ შეიძინონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, აიმაღლონ ცოდნა გარემოსდაცვითი მიმართულებით ეკოლოგიურ პრობლემზე, რაც ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

22 ოქტომბერს *„ხის დარგვის საერთაშორისო დღესთან“* დაკავშირებით სააგენტოს თანამშრომლებმა კრწანისის რაიონში კოლხური ბზის საბაზისო სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე დარგეს წიწვოვანი სახეობის 100-მდე ნერგი. ოქტომბრის თვეში კი განხორციელდა 500 ძირი ბზის დაკალმება. დეკემბერის თვეში სსიპ აფხაზეთის N2 საჯარო სკოლის დევნილი მოსწავლეთა ეკო-კლუბის წევრებთან შედგა შეხვედრა. დევნილი მოსწავლეები ადგილზე გაეცნენ კოლხური ბზის დაკალმებისა და მოვლა - პატრონობის პროცესს, მონაწილეობა მიიღეს საველე- პრაქტიკულ სამუშაოებში. შეხვედრა მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში და მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ პასუხი მათთვის სასურველ კითხვებზე.

სააგენტოს სპეციალისტები ჩართულნი არიან გარემოსდაცვით საქმიანობაში, რომელიც ძირითადად შემოფარგლულია მოსახლეობაში შემეცნებითი ტრენინგ-სემინარების ჩატარებით, ბუნებისა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების პროპაგანდით. თუმცა, ამ მხრივ, აღსანიშნავია პრაქტიკული ხასიათის აქტივობებიც, კერძოდ, ქ. თბილისში აფხაზეთის დევნილ სკოლებში მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ჩატარდა არაერთი *ტრენინგ-სემინარი* გადაშენების პირას მყოფ მცენარეთა ეკოლოგიაზე (კოლხური ბზის მაგალითზე).

ჩვენი სპეციალისტები აქტიურად თანამშრომლობენ არასამთავრობო სექტორთან, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უწევენ მათ კონსულტაციებს. ერთ-ერთი მაგალითია - ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი ინიციატივა COBERM-ის მიერ დაფინანსებული პროექტში *,,ნდობის აღდგენის ღონისძიებების ხელშეწყობა გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში ახალგაზრდა თაობის ჩართულობით“* დეპარტამენტის თანამშრომელთა ჩართულობა. პროექტის პარგლებში განხორციელებულ აქტივობებში 2018 წლის განმავლობაში, მათ შორის 2018 წლის 27 სექტემბერს გამართულ დასკვნითი ღონისძიებაში (მრგვალი მაგიდა) და ახალ შექმნილი ეკო-ცენტრის შემდგომი საქმიანობის პერსპექტივები. მრგვალი მაგიდის მიზანი იყო მიღწეული შედეგების შეჯამება და პროექტის ფარგლებში შექმნილ ეკო-ცენტრის მუშაობაში მონაწილეობენ დეპარტამენტის სპეციალისტები.

2018 წლის 8 სექტემბერს სააგენტოს თანამშრომელებმა მონაწილეობა მიიღეს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით გამართულ *დისკუსიაში ,,ჰაერის დაცვის პოლიტიკის“* შესახებ. დისკუსიის მიზანი იყო დაინტერესებულ საზოგადოებას მიეღო სანდო ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის დაცვის პოლიტიკის, დაბინძურების გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ. მსგავსი შეხვედრები, ჩვენი აზრით, უზრუნველყოფს მოსახლეობის ცნობიერების

ამაღლებას, რაც აუცილებელია ჰაერდაცვითი პოლიტიკის განხორციელების პროცესში მოქალაქეების მაქსიმალურად ჩართვის უზრუნველსაყოფად.

და ბოლოს, დეპარტამენტმა და მასში შემავალმა სსიპ ,,გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტომ“ საანგარიშო 2018 წელს ცნობილ ჟურნალ „National Geographic - საქართველო“-ში ჩვენი დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ დეკემბრის ნომერში ვრცელი მასალა გამოქვეყნების ფონზე. სტატიაში დეტალურად არის აღწერილი თუ რატომ აღმოჩნდა გადაშენების საფრთხის წინაშე „კოლხური ბზა“ და რა წვლილი შეაქვს მისი გადარჩენის ურთულეს საკითხის მოგვარებაში ჩვენს დეპარტამენტს.